

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის

გადაწყვეტილება №001/18

ქ.თბილისი, 02 თებერვალი, 2018 წელი

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის

განხილვის კოლეგიის ალტერნატიული წევრის დანიშვნის თაობაზე

2018 წლის 02 თებერვალს მეორე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ თორნიკე ბაქრაძემ მოხსენებითი ბარათით მომართა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, რომლის მიხედვითაც მეორე დისციპლინური კოლეგიის წევრი ცისმარი ონიანი თვითაცილების გამო ვერ იღებს მონაწილეობას დისციპლინური საქმის №018/17-ის განხილვაში.

მეორე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის თხოვნით, ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ აღნიშნული საქმის განხილვისას კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით №018/17 საქმის განხილვისას ალტერნატიულ წევრად დაინიშნოს ინგა სეხნიაშვილი.

ვიხელმძღვანელებ რა ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით, განხილვის კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ეთიკის კომისიის ეთიკის კომისიის წევრი ინგა სეხნიაშვილი დაინიშნოს მეორე დისციპლინურ კოლეგიაში ალტერნატიულ წევრად დისციპლინური საქმის №018/17 განხილვისათვის საჭირო ვადით.
2. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღებისთანავე.
3. ეთიკის კომისიის აპარატს დაევალოს, გადაწყვეტილების თაობაზე ეთიკის კომისიის შესაბამისი წევრების ინფორმირება.

გია ტაბლიაშვილი

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე